დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

წევრები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი

ნინო რამიშვილი

ნატო გაბოშვილი

ანა დავრიშაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 240890862

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 26 ივნისის № №759028 ბრძანების საფუძველზე, დაევალა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების პირობების შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბაღის დიზაინი" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება და ვიზიტის განხორციელება სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლაში (მის: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი) 2025 წლის 3 ივლისს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 3 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლაში (მის: ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი). სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა, ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.

ავტორიზებულ რეჟიმში აგრძელებს საქმიანობას 2023 წლიდან და ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. ავტორიზაციის შედეგად, სკოლას განესაზღვრა მოსწავლეთა ზღვრული ნორმა-400 მოსწავლის ოდენობით. ამჟამად, სკოლაში სწავლობს 314 მოსწავლე.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომელმაც შეაფასა დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს არ შეუშლის მის ძირითად საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას, ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ბაღის დიზაინი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 4.1.1.1. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა/გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
4.1.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალური იხ. 4.1.1.2. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.
ბ 2.2.1.1. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.1. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

2.2.1.2. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.2. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების მოძიება, დამატება და განვითარება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

2.2.1.3. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.3. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის განვითარება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

2.2.1.5. ინდიკატორი - დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.5. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა, შექმნას უსაფრთხო და ინკლუზიური სასწავლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე და პროფესიული სტუდენტი თავს იგრძნობს ღირსეულად, მოტივირებულად და მხარდაჭერილად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მიზნად ისახავს, პროფესიული სტუდენტებისა და მოსწავლეების აკადემიური და პიროვნული უნარების განვითარებას, ხარისხიანი განათლებისა და თანამედროვე სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდების მეშვეობით. სკოლა ხელს უწყობს ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას და შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციას ფორმალური, არაფორმალური და პროფესიული სწავლების კომპონენტების ინტეგრაციით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია, სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს პროფესიული განათლების შესახებ პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე. მისიაში ხაზგასმულია როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარება, რაც ასახავს პროფესიული განათლების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს — მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრისთვის, პროფესიული ორიენტაციის გამყარებას და ცხოვრებისეულ გამოწვევებზე ადაპტირებას. გარდა ამისა, მისია ემყარება პროფესიული განათლების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს: ინკლუზიურობა, ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა, პარტნიორული თანამშრომლობა და პერსონალური განვითარება.

ეს პრინციპები ერთობლივად უწყობს ხელს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებასა და მის ღირებულებებზე დაფუძნებული ხედვის გაძლიერებას სასკოლო გარემოში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.1.დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია მკაფიოდ ასახავს დაწესებულების პროფილსა და მის ძირითად მიმართულებებს, რაც მოიცავს ზოგად, არაფორმალურ და პროფესიულ განათლებას. იგი გამოხატავს სკოლისთვის სპეციფიკურ ამოცანებს — მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას და მათი მომზადებას შრომის ბაზრისა და ცხოვრებისთვის. დაწესებულება ოპერირებს როგორც ზოგად, ისე პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც თავისთავად განასხვავებს მას ტრადიციული ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისგან. მისია ხაზს უსვამს სწორედ ამ ინტეგრირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს აკადემიური სწავლების შერწყმას პრაქტიკულ განათლებასთან და მიზნად ისახავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ მისი რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარის განვითარებას.

   სკოლის მისია ასევე გამოხატავს მის როლს განათლების სისტემაში — როგორც განათლების მრავალმხრივი ხელმისაწვდომობის, ინკლუზიურობისა და პროფესიულ თვითრეალიზაციაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფის მაგალითი. ეს კი ამყარებს სკოლის უნიკალურობას და სტრატეგიულ მნიშვნელობას ადგილობრივ და რეგიონულ კონტექსტშიც.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან - დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია განსაზღვრავს მის ძირითად დანიშნულებას — უზრუნველყოს მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტთა აკადემიური, პიროვნული და პროფესიული ზრდა, ხარისხიან, ინკლუზიურ და მრავალმხრივ სასწავლო გარემოში. სწორედ ამ მისიის ლოგიკური გაგრძელებაა სკოლის ხედვა და ღირებულებები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამომავლო განვითარება მიზანმიმართულად იგეგმება. დაწესებულების ხედვა 2030 წლისთვის ასახავს მის სტრატეგიულ მიმართულებებს — სკოლა ისწრაფვის გახდეს აღიარებული საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც აღზრდის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან და ეროვნულ-გლობალურ კონტექსტში რეალიზებულ მოქალაქეებს. ხედვა ემყარება იმავე პრინციპებს, რაც წარმოდგენილია მისიაში: განათლების მრავალფეროვანი ინტეგრაცია, მდგრადი განვითარების მიზნების მხარდაჭერა და პროფესიულ წარმატებაზე ორიენტირება. ღირებულებები, როგორიცაა გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა და ინოვაციურობა, ჩამოყალიბებულია სკოლის მისიის საფუძველზე და ასახავს არა მხოლოდ ყოველდღიურ პრაქტიკას, არამედ სკოლის კულტურასა და ურთიერთობის სტილს. ეს ღირებულებები განსაზღვრავს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდენტობას, თანამშრომლობის პრინციპებსა და გადაწყვეტილებების მიღების ეთიკას. საერთო ჯამში, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული, კონსტრუქციულად გაწერილი და ქმნის მყარ საფუძველს სკოლის სტრატეგიული განვითარებისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ფორმულირებულია მონაწილეობითი მიდგომის საფუძველზე, რაც გულისხმობს სკოლაში ჩართული ყველა მხარის — მონაწილეობას. ეს უზრუნველყოფს მათ საერთო ხედვას, მოტივაციასა და მზაობას იდენტობის, მიზნებისა და განვითარების პრიორიტეტების გაზიარებისთვის. დოკუმენტები წარმოდგენილია ადვილად გასაგებ ფორმაში და ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ სივრცეებში: მათ შორის ფიზიკურად – ინფორმაციის დაფაზე, და ციფრულად – სკოლის ვებსაიტზე ,სოციალურ ქსელებში. ასევე, სკოლის სტრატეგიულ დოკუმენტებში , მათ შორის პროფესიული პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე, მისიის ხედვის და ღირებულებების გაზიარება ხდება რეგულარულად. პედაგოგიური საბჭოს ოქმი N8 30.05.2025 დაინტერესებული მხარეები კარგად იცნობენ სკოლის მისიის ძირითად გზავნილებს და ხედვას, რაც ამყარებს სკოლის მიმართ ნდობას, უზრუნველყოფს ჩართულობას და აძლიერებს საგანმანათლებლო პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტურობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. კეხიჯვრის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანებაN2-40 ;*
- *2025-2026 სასწავლო წლის პროფესიული პროგრამის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,ბრძანებაN2-50 11.06.2025;*
- *მისიის ,ხედვის ,ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ,ბრძანება N2-106 14.08.2023;*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი N9 N10;*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმი N10,N11 ;*
- *სკოლის ვებგვერდი;*
- *სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი. N1,N2;*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება;*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში დირექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“ და ასევე, მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან. შიდა დოკუმენტები ხელმისაწვდომია, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას, პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და მათი გარანტიების უზრუნველყოფას. დაწესებულებაში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის N 2 - 38 ბრძანებით დამტკიცებულია: 1. პროფესიული სტუდენტის უფლებები , სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება (სადაც გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის ისეთი უფლებები როგორიცაა: • პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები;(39,40,41 მუხლები) • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი;(8 მუხლი) • ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესთან.“(60,61,62,63,64,65 • სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები;(მუხლი 37) • შეფასების პროცესის ადმინისტრირების და შეფასების შედეგების აპელაციის წესები და პროცედურები; (მუხლი 47) • შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურები.(მუხლი 47) • აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის, ინფორმირების, გასაუბრების, საკონკურსო კომისიის შექმნის, განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის წესებს, ჩასარიცხად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს და სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურებს. (13,14,15,16 მუხლები)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშში გაწერილია, პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები.

   პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია, დაწესებულების ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში და დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანება N2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დაორგანიზდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები. აღნიშნულ შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების შესახებ.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. მიმდინარე ეტაპზე, სკოლას პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, აქედან გამომდინარე, პროცესების დანახვა, თუ რამდენად იცნობენ და იყენებენ პროფესიული სტუდენტები მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს შეუძლებელია, თუმცა დაწესებულება აქტიურად ემზადება მათი მიღებისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფისთვის.

   სკოლაში დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის მექანიზმები“ დირექტორის ბრძანება N2-37 04.06.2025, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება მუხლი 39. რომელიც აწესრიგებს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვას და ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებს, სრულფასოვნად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში, ისარგებლონ შესაბამისი პირობებით, და საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეთ პროტესტის გამოხატვისა და დავების გადაწყვეტის სამართლებრივი გზა. დოკუმენტი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან უფლებებს, როგორიცაა:
   - ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება;
   - ზსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ბიბლიოთეკით სარგებლობა;
   - სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
   - თავისუფლად აზრის გამოხატვა და საკუთარი უფლებების დაცვა;
   - გაუმართავი ქმედების გასაჩივრება ადმინისტრაციის წინაშე ან სასამართლოში კანონით დადგენილი წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა მობილობის უფლება და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერა.

გათვალისწინებულია კონსულტაციების განხორციელება პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.

პროფესიული მასწავლებლის უფლება- მოვალეობებშიც გაწერილია, რომ იგი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს კონსულტირება, მათ შორის შეფასების სისტემაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებითი ჩატარება.
დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების პროცედურებისა და სკოლაში არსებული მექანიზმების შესახებ, რაც განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და სხვა კომუნიკაციური აქტივობების გზით, სტუდენტების მიღებისთანავე. ამგვარად, განიხილება სისტემური მხარდაჭერა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვას და მათ ეფექტურ ჩართულობას შეფასების პროცესში. დაწესებულება გამოთქვამს სრულ მზაობას, შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესებისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.3. დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანება N2-38 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება. სადაც სკოლას გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმი. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს, პროგრამის დასახელებას რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს. აქვე განსაზღვრულია, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანი ან შშმ/სსსმ პირის შემთხვევაში(გარკვეული საჭიროებისას) მისი კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში). შესაბამისობაშია დაწესებულებაში დამტკიცებულ დებულებასთან და მასში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანება N 2-38 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.4. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის, გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას დამტკიცებული აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება დირექტორის ბრძანებით (ბრძანება №2-38, თარიღი: 04.06.25), რომლის მე-62 და 63-ე მუხლები ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრინციპებს. დაწესებულება აქტიურად ემზადება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისათვის, რომლებიც გათვლილი იქნება სტუდენტთა ინტერესებზე, საჭიროებებზე და უნარ-ჩვევებზე. სკოლაში უკვე არსებობს ძირითადი პრინციპები და პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობითა და უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურ მიდგომას პროფესიული განათლების ფარგლებში. დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, რაც მოიცავს პირადი განვითარების მიზნების გათვალისწინებას და სასწავლო მასალის ადაპტაციას. შემუშავებული იქნება მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს აქტიურად მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დაგეგმვასა და ადაპტირებაში. ამ მომზადების პროცესში სკოლა უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს, რაც განაპირობებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ეფექტურ და ხარისხიან განხორციელებას პროფესიული სტუდენტების ჩართულობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის მექანიზმი. ბრძანებაN2-37 04.06.2025 ;*
- *შინაგანაწესი ;*
- *დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშები;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება. ბრძანება N2-38 04.06.2025;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის ბრძანება N 2-42-ით დამტკიცებულია, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა. რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული. მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, შემდგომში აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2025 წლის 12 ივნისის N2-54 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლა გეგმავს, გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში და ერთი წლის ვადაში მოიყვანოს შესაბამისობაში სტანდარტის გათვალისწინებით.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.1. - დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

2. სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N 2-42 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ არის გაწერილი. დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე. ასევე სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ცხადჰყოფს, რომ დაწესებულებაში ფუნქციებისა და პასუხიმგებლობის ეფექტური გადანაწილება ხელს უწყობს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში შესაძლებელია გადაიხედოს პერსონალის სამუშაო აღწერილობები და დაემატოს ისეთი პერსონალი, რომელიც ამჟამად არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ დოკუმენტში. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა შესაბამის ვადებში, პასუხისმგებელი პირების, ჩართული მხარეებისა და საჭირო რესურსების გათვალისწინებით სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.2. - დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის N 2-42 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიზანია დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება–განახლებაზე ზრუნვა.
   სკოლას აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული ჰყავს პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.
   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.3. - დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა ბრძანება N2-42,4.06.25 ;*
- *პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი ბრძანება N2-44,06.06.25 ;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ხარისხის მართვის მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;*
- *გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან.*

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის N 2-44 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. პროცესი იმართება აღნიშნული დოკუმენტის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.1. - დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის N 6 ივნისის ბრძანებით N2-44 პერსონალის მართვის პოლიტიკის მიხედვით. სამუშაოს დაწყების მსურველის ცოდნის და უნარ-ჩვევების შემოწმებისთვის, ახალი თანამშრომლის აყვანისას დაწესებულებამ შესაძლებელია გამოიყენოს შესარჩევი მეთოდების ფართო სპექტრი: გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლას შეუძლია ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება როგორც არსებული საკადრო ბაზიდან ასევე ღია კონკურსის გამოცხადებით.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.2. - დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 ივნისის N 2-42 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რომლის შესაბამისად არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი. დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრული აქვს მინიმალური განათლების დონე, რიგ შემთხვევაში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა, პოზიციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ცოდნა. განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისია პოზიციების და განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების. ყველა პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ პირად საქმეებში დაცულია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.3. - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის ბრძანებით N2-44 დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად გამოიყენება სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების სტრუქტურა, ასევე, ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.4 - **დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა ბრძანება N2-42,4.06.25 ;*
- *პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი ბრძანება N2-44,06.06.25*
- *შინაგანაწესი*
- *პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები*
- *ინტერვიუს შედეგები*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ბაღის დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	09/06/2025 - ბრძანება N 2-46
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქარელის მუნიცილაპიტეტი, სოფ. კეხიჯვარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	32
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	145
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, და ასევე შეესაბამება სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სკოლის მისია ითვალისწინებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელებას , რითაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბაღის დიზაინის ინტეგრირებული პროგრამა ეხმიანება სკოლის მისიას, რომელიც მრავალპროფილურია და წინააღმდეგობაში არ მოდის მასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას მიზანშეწონილად მიაჩნია ბაღის დიზაინის ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც სრულად შეესაბამება სკოლის პროფილს, მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორი - დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “ბაღის დიზაინი” დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროგრამაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საშუალო საფეხურის 10 კლასის განათლება. დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების ვადა ორი წელია. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.2 - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (თავი X), განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. სკოლას თავდაპირველად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრული ჰქონდა 40, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს, შეცვალა ზღვრული ოდენობა და განსაზღვრა 32 პროფესიული სტუდენტით.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ განხორციელებისთვის, გამოყოფილია ორი სასწავლო აუდიტორია, სადაც მოეწყობა A და B გარემო (პროგრამის ფარგლებში, მოდულისთვის „ინფორმაციული წიგნიერება“) თეორიული სწავლებისთვის, რომელიც მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება გათვალისწინებული, C გარემოდ კი განსაზღვრულია, იმიტირებული პრაქტიკული გარე სივრცე. აუდიტორიებში შესაძლებელია სწავლება განხორციელდეს, ორ ცვლაში. რაც შეეხება ლაბორატორიას, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის (მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდული), პროგრამის ფარგლებში გამოიყენება კიდევ ერთი აუდიტორია, რომელიც საზიარო იქნება სკოლის მოსწავლეებთან. სკოლას აქვს, ასევე, ერთი შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც გამოიყენება სპორტის მოდულისთვის. სპორტული დარბაზის გამტარუნარიანობა იძლევა შესაძლებლობას რომ ის გამოყენებული იყოს როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ.

   თითოეული გარემო გათვლილია 16 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების კვოტა ჯამში განსაზღვრულია 32 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულება გეგმავს წელიწადში 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.3.- - დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. პროფესიული საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამით “ბაღის დიზაინი” გათვალისწინებული, როგორც მატერიალური, ასევე საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

   აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.4. - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. ზოგადი განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მე-7 მუხლის ე1 პუნქტის საფუძველზე(ცვლილება 12.06 2024 წლის #101 ბრძანება) სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ დამტკიცებულია სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანება N2-46 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი **2.1.1.6. - დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება- “ბაღის დიზაინი” შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას. იგი სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი **2.1.1.7.- დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ბაღის დიზაინი . პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.8. - დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბრძანება N2-46 09.06.25 ;*
- *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;*
- *პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვირს მეთოდოლოგია;*
- *შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია ბრძანება N2-47 10.06.25;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება დირექტორის ბრძანებაN2-38 04.06.25;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ შედეგები მიიღწევა დაწესებულების A,B და C ტიპის სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით. თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ჯერ არის სრულყოფილად შესყიდული სკოლის მიერ. შესაბამისად, დაწესებულებას, დირექტორის N 2-54 12 ივნისი 2025 წლის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და კომპონენტი შეფასებული აქვს, როგორც მეტწილად შესაბამისი. აღნიშნულის მიხედვით უახლოესი ექვსი თვის ვადაში იგეგმება მატერიალური რესურსების შესყიდვის განხორციელება და სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანა.

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი **2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. ბაღის დიზაინის ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების 8 მასწავლებელთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია 7 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში ჯამში წარმოდგენილია 15 პროფესიული მასწავლებელი. თუმცა, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით, ექვსი თვის ვადაში გეგმავს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირების მოძიების პროცესის გაგრძელებას.

   ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2. - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მეტწილ შესაბამისობაშია.

3. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. კეხიჯვრის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის ბრძანება N 2-42-თ დამტკიცებულია, „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა“, რომელიც არეგულირებს, პროფესიულ მასწავლებელთა დასაქმებას, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების (სამუშაო გამოცდილებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის) შესაბამისად. მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეულ ყველა პირს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. შესაბამისად, მათთვის, როგორც სკოლის შიდა რესურსით, ისე გარე რესურსებით (ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით) დაგეგმილია ტრენინგები, რითაც დაეუფლებიან შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას, დირექტორის N 2-54 12 ივნისი 2025 წლის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და თარიღები.

   ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.3. - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მეტწილ შესაბამისობაშია.

4. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტითა და სამუშაო გამოცდილებით. მისი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის ბრძანება N2-42-ით დამტკიცებული, „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა“ დოკუმენტში და ასევე, მასთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში გაესაუბრა და ინტერვიუს შედეგადაც დასტურდება, რომ მას სრულად აქვს გააზრებული საკუთარი პასუხისმგებლობა და ფუნქცია-მოვალეობები, ასევე, მისი კომპეტენცია დარგის მიმართულებით სრულ შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4 - პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით - შესაბამისობაშია.

5. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი, ბეჭდური და ელექტრონული სახით, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებული იქნება როგორც ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (მეხსიერების ბარათზე ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა), ასევე პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერში. თუმცა, დაწესებულების მიერ დაგეგმილია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის მოძიება/განვითარება, რაც ასევე ასახულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომლისთვისაც განსაზღვრულია ექვსი თვე და გაწერილია, პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები და რესურსების ნაწილი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, მეტწილ შესაბამისობაშია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 63, 64)არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.6 - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, შესაბამისობაშია.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბაღის დიზაინი“ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.7 - დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დირექტორის ბრძანება N2-54 12.06.25*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება;*
- *პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;*
- *დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება;*
- *პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

1. სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 09 ივნისის N ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც დაფუძნებულია ციკლზე: -„დაგეგმე -განახორციელე, შეამოწმე და განავითარე“. ასევე, დაწესებულებას დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N 2-48 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის მესამე-მეცხრე მუხლები ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესსა და პროცედურებს.
   პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგიები და დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები, ესენია: პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის, პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი(არსებობის შემთხვევაში) , ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ანალიზის დროს სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ სკოლა აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1. - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა, შესაბამისობაშია.

2. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე შეაფასე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება 2025 წლის 10 ივნისის N 2-48 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ და სკოლის დირექტორის 2025 წლის 4ივნისის N 2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მესამე-მეცხრე მუხლებით. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის პოზიცია. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. კვლევების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების მესამე-მეცხრე მუხლები, მე-6 და მე-9 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურებსა და ინიცირებებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ სკოლა გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს მასში დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.2. - დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, შესაბამისობაშია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- 2025 წლის 10 ივნისის N 2-48 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ;
- 2025 წლის 04 ივნისის N 2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით დადგენილი წესით გადაიხედოს არსებული სასწავლო გეგმები და გაუმჯობესების მიზნით შეიცვალოს ის, რაც პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ აქტით გაფორმდება.
   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.1. - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, შესაბამისობაშია.
2. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის უზრუნველყოფილია, როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება, თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამთავრებისას. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი . შეიძლება შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე , ინდიკატორი 2.4.1.2.-დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, შესაბამისობაშია.

3. დაწესებულება სასწავლო პროცესში გამოიყენებს, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, რაც დაეხმარება მათ კომპეტენციების განვითარებაში სწავლებისა და შეფასების მიმართულებით და უზრუნველყოფს, მათი არსებულის სიახლეების მიმართს ადაპტირების პროცესს, შემდგომ კი, მის გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.3 - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, შესაბამისობაშია.

4. დაწესებულებაში მოქმედებს სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N 2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც დადგება ამის საჭიროება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი ,პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით; პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.4.1.4.-პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაბისობაშია.

5. მიმდინარე ეტაპზე სკოლას არ ჰყავს პრაქტიკის ობიექტი. სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულის სივრცეში არსებულ იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

ინდიკატორი 2.4.1.5. - დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით; შესაბამისობაშია.

6. დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო გარემო. სკოლა ავტორიზებულია და აკმაყოფილებს სტანდარტის მიხედვით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. ხოლო რაც შეეხება პროგრამას, სპეციფიკიდან გამომდინარე, არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების წესებს.

ინდიკატორი 2.4.1.6 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბრძანება N2- 46 09.06.2025 ;*
- *2025 წლის 10 ივნისის N2-48 ბრძანებით დამტკიცებულ ი „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები";*
- *3. 2025 წლის 04 ივნისის N2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;*
- *დაწესებულების უსაფრთხოების წესები;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით. სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N 2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 40-ე მუხლში. ამ წესის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს. ამავე დებულების განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ - წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტი შეიცვლება, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში გამოიყენება შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. აქვე აღწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის N2-51 ბრძანებით დამტკიცებულია" სწავლის შედეგების დადასტურების წესი, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის N48/ნ ბრძანებასთან. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.1 - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შესაბამისობაშია.

2. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში მოქმედებს 2025 წლის 10 ივნისის N 2-48 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები" და სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, სადაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას. შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებია: ✓ ნამდვილობის დადგენა; ✓ შეფასების, შემოწმების პროცედურა; ✓ სტანდარტის შედარება ფაქტებთან, არსებულ ვითარებასთან. შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია: ✓ შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ✓ პროცესის ვერიფიკაცია; ✓ მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა. ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.2 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; შესაბამისობაშია.

3. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულების 39-ე მუხლის მე-15 პუნქტით, სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3. - დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებ ის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შესაბამისობაშია.

4. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულების 39-ე მუხლის მე-19 პუნქტით სკოლაში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგებიასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც.ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის., შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- *2025 წლის 10 ივნისის N 2-48ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“*
- *2025 წლის 04 ივნისის N2-38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება*
- *2025 წლის ივნისის N 2-51 ბრძანებით დამტკიცებულია სწავლის შედეგების დადასტურების წესი,*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

14.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: